შენიშვნა: გადაწყვეტილება გასაჩივრდა და უცვლელი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, საქმე დს-შ/1-17

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.02.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 007/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. ხ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. ხ.-ს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 08 თებერვალსს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. მ. და მოითხოვა ადვოკატ ხ. ხ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ხ.-ს მიმართა საადვოკატო მომსახურეობის მისაღებად 2014 წლის 10 ოქტომბერს, რომელმაც თავის მხრივ დააკავშირა ადვოკატ ხ. ხ. რომელსაც უნდა ეწარმოებინა მისი საქმე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს ჰონორარის სახით 600 (ექვსასი) და სახელმწიფო ბაჟის შესატანად 100 (ასი) ლარი გადასცა, მაშინ, როდესაც ბაჟის გადახდა როგორც დაზარალებულს, არ ეკუთვნოდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მის დაუსწრებლად გააფორმა, ისე რომ მას არ წაუკითხავს და მის ნაცვლად ხელი თავის ძმას მოაწერინა, რაც ადვოკატმა მას უთხრა საუბრისას.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს თავისი საქმის საბუთები გადასცა 2014 წლის ოქტომბრის თვეში, ხოლო მან საქმის წარმოება დაიწყო 2015 წლის ივლისის თვეში. ადვოკატი საქმის წარმოებას აჭიანურებდა და ამას ისიც დაერთო, რომ მას დედა გარდაეცვალა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატთან კომუნიკაცია უჭირდა, რადგან ადვოკატი მის ზარებს არ პასუხობდა და ბოლოს, მისი ნომერი საერთოდ დაბლოკა. ამის შემდეგ, ის იძულებული გახდა მისი საქმე ეწარმოებინა ადვოკატ მ. ხ. ვისთანაც თავდაპირველად მივიდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც მ. ხ. მისი საქმის წარმოება ბოლომდე არ მიიყვანა, მან ადვოკატ ხ. ხ.-ს შესთავაზა საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილისა და სახელმწიფო ბაჟის თანხის - 100 ლარის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ დაუბრუნებდა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის თანხას, მაშინ როდესაც ახალ კლიენტს აიყვანდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ხ. ხ. მას აცნობა, რომ მის მიერ გადახდილი ჰონორარიდან 700 ლარიდან 400 ლარი მეორე ადვოკატს - მ. ხ.-ს გადასცა. მომჩივანი ითხოვს ადვოკატმა დაუბრუნოს თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რათა მან მოპასუხისაგან მოითხოვოს წარმომადგენლისათვის გადაცემული ხარჯის ანაზღაურება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში შეტანილ სარჩელში ადვოკატმა თავისი მონაცემები არ მიუთითა და სარჩელში გარკვეული მონაცემები შეცდომით იყო მითითებული.

1.9 2016 წლის 25 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც მას საჩივარში აქვს მითითებული.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ხ. ხ. 2016 წლის 25 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას გ. მ.-ს საქმე უნდა ეწარმოებინა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კუთხით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, პირველი კონსულტაციისას კლიენტმა საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ საქმეზე, სადაც ის წარმოადგენდა დაზარალებულს, საპროცესო მოქმედებები ჯერ ჩატარებული არ იყო, რეალურად კი ყველა მოქმედება უკვე იყო ჩატარებული და მომჩივანი ხელს აწერდა ოქმს, სადაც იყო მითითებული რომ მას გამომძიებლის შ. ს.-ს მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, რადგან კლიენტი უკმაყოფილო იყო საგამოძიებო მოქმედებით და მას ოქმზე უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი - ეთანხმებოდა, განუმარტა, რომ ამ ეპატზე რაც შეეძლოთ იყო სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარება ზიანის ოდენობის განსასაზღვრად, რაც მართალია იყო დაგვიანებული, მაგრამ ჩატარება მაინც ღირდა. რადგან ექსპერტიზის ჩატარება თანხასთან იყო დაკავშირებული, კლიენტმა გადაწყვიტა, რომ არ ჩაეტარებინათ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა იმის გამო, რომ ზიანის მიმყენებელი პირები იყვნენ არასრულწლოვნები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, რადგან კლიენტს გამომძიებელთან ჰქონდა პრეტენზია მან გენინსპექციაში წერილები გაგზავნა გამომძიებლის - შ. ს.-ს წინააღმდეგ და პასუხი მიიღო, რომ ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, კლიენტს ყოველ მოსვლაზე სულ სხვადასხვა პრეტენზიები უჩნდებოდა, მაგალითად, მას პრეტენზია ჰქონდა მეზობელ გ. გ.-ზე, რომელმაც მისი თქმით

ბავშვები წააქეზა და მშვიდად უყურებდა მათ მოქმედებას. კლიენტს მიაჩნდა, რომ სამოქალაქო საქმეზე გ. გ. გამოვიდოდა მოწმედ და იტყოდა რაც დაინახა, მაგრამ რადგან მოპასუხემ შესაგებელი არ წარმოადგინა, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ცხადია მისი გამოკითხვა ვერ მოხდებოდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას ამ საქმის წარმოების პროცესში გარდაეცვალა დედა, ამიტომ 2015 წლიდან საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ხ. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეს აწარმოებდა ადვოკატ მ. ხ. ერთად, ხოლო სისხლის სამართლის საქმეს დამოუკიდებლად.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მან ჰონორარის სახით მოითხოვა 700 (შვიდასი) ლარი, ხოლო 200 (ორასი) ლარი ქალაქგარეთ ხარჯებისათვის. მას კლიენტმა გადასცა ჰონორარის სახით 600 (ექვსასი) ლარი და 100 (ასი) ლარი ხარჯებისათვის. დარჩენილი 100 (ასი) ლარი კლიენტს მოგვიანებით უნდა გადაეცა.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მას კლიენტისათვის სახელმწიფო ბაჟის თანხა არ მოუთხოვია, რადგან მის კლიენტს კანონი ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებდა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება კლიენტთან გააფორმა მოგვიანებით, ურთიერთობის დაწყებიდან რაღაც დროის შემდეგ, ხელშეკრულების ტექსტს გ. მ. იცნობდა, რადგან ერთი ეგზემპლარი მას გაატანა გასაცნობად, ხელშეკრულებაზე კი გ. მ.-ს ხელმოწერაა.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მისთვის მომჩივანს დოკუმენტები არ გადაუცია, მან ყველა დოკუმენტი დამოუკიდებლად მოიძია და შესაბამისად, საადვოკატო ურთიერთობის დასრულებისას, გ. მ.-ეს დოკუმენტების დაბრუნება არ მოუთხოვია. ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტმა მიუტანა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი წერილი, სადაც ეწერა უწმაწური სიტყვები გ. მ.-ის მისამართით, მან მიიჩნია, რომ ეს წერილი მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა და სახლში არ დაიტოვა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, პირველ ეტაპზე მან მოამზადა სარჩელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარსადგენად, შემდეგ კი მეორე ადვოკატმა შეადგინა სარჩელი და განსჯადობით წარადგინა ქარელის რაიონულ სასამართლოში.

2.12 განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისთვის საჩივრის ავტორს მინდობილობა არ გაუფორმებია, სამოქალაქო საქმეში ის მონაწილეობას იღებდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში და ამიტომ არ მიუთითა სარჩელში თავისი მონაცემები. ხოლო რაც შეეხება შეცდომებს, ისინი იყო ტექნიკური ხასიათის და სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის ხელი არ შეუშლია.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა საადვოკატო მომსახურების თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი, რადგან საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურების თანხა ხელზე გადასცა. მან სარჩელში დააყენა შუამდგომლობა, რომ გ. მ.-ს ადვოკატის ხარჯი მოპასუხე მხარეს აენაზღაურებინა და მტკიცებულება დართვას აპირებდა საქმის წარმოების პროცესში, მაგრამ იმის გამო, რომ მოპასუხე მხარემ შესაგებელი არ წარადგინა, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. შემდეგ მან კლიენტს შესთავაზა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაზეც უარი მიიღო.

2.14 ადვოკატმა განხილვის კოლეგიას განუმარტა, რომ ამ საქმეზე კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული და მის მიერ კლიენტისთვის გადაცემული დოკუმენტების აღრიცხვა არ უწარმოებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 29 მარტს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ხ. ხ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა სარჩელს არ დაურთო საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და კლიენტისათვის არ იყო ცნობილი მის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-8 და მე-12 ნაწილები.

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ მისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა არ დაუბრუნა მისთვის გადაცემული დოკუმენტი - წერილი გ. მ.-ს შეურაცხმყოფელი ტექსტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება. ასევე, მტკიცებულებათა არ არსებობის გამო არ დადასტურდა გ. მ.-ს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მასსა და ადვოკატ ხ. ხ.-ს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერა გაყალბებულია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 10 ოქტომბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ს 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ს 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

4.1.2 მხარეთა შორის 2015 წლის 06 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ს 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ს 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

2015 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

4.1.3 ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისაგან აიღო 600 (ექვსასი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ს 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ს 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

4.1.4 ადვოკატმა ხ. ხ. გ. ს. მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო, რადგან არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ს 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ს 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

2015 წლის 29 ივნისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე N.

4.1.5 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ.-ს სარჩელი.

გ. მ.-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ის 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

2015 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N.

4.1.6 გ. მ.-ის კუთვნილი ნივთების განზრახ დაზიანება/განადგურების ფაქტზე გამოძიება შეწყდა 2014 წლის 16 სექტემბერს, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირები იყვნენ მცირეწლოვანნი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ხ. ხ.-ის 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

N დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

4.1.7 ადვოკატმა ხ. ხ. საჩივარი დაწერა გამომძიებლის შ. ს.-ის წინააღმდეგ, მაგრამ მის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ხ. ხ.-ის 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

2015 წლის 05 მარტის ხაშურის რაიონული პროკურატურის N13/22-13048 მიმართვა გ. მ.ეს.

4.1.8 გ. მ.-ე, როგორც დაზარალებული, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ხ. ხ. 2016 წლის 25 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი: ,,სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან: მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე."

4.1.9 ადვოკატ ხ. ხ.-ის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში შეტანილ სარჩელს დართული არ ჰქონდა გ. მ.-ის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ.-ს 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი

სადავო ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. ქ–ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

კლიენტმა ადვოკატს გადასცა სახელმწიფო ბაჟის თანხა 100 ლარის ოდენობით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით აღნიშნული თანხა მან ადვოკატს გადასცა მის საქმეზე სახელმწიფო ბაჟის შესატანად და მან მოგვიანებით შეიტყო, რომ რეალურად კანონი ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებდა.

ბ) ადვოკატის განმარტებით, ეს თანხა განკუთვნილი იყო მისი ხარჯებისათვის და არ წარმოადგენდა ჰონორარის თანხას.

კომისიამ ვერ დაადგინა, რას წარმოადგენდა აღნიშნული თანხა, რადგან ადვოკატს არ უწარმოებია სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადახდილი თანხების შესახებ.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. ხ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. ხ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

4.2 ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

4.3 ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია იზიარებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით: ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.“

4.4 კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ეთიკის 2010 წლის 23 სექტემბრის N035/10 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი

მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის.“

4.5 კომისია მიიჩნევს, რომ თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.

4.6 გ. მ. და ადვოკატ ხ. ხ.-ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის ოქტომბრის თვიდან, ხოლო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წერილობით გაფორმდა 2015 წლის 06 აგვისტოს, რომლითაც ადვოკატმა აიღო ვალდებულება წარმოედგინა კლიენტის ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და სასამართლოში. კონკრეტულად, ადვოკატმა აიღო ვალდებულება კლიენტის საქმე ეწარმოებინა როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის კუთხით. კოლეგიას დადგენილად მიაჩნია გარემოება, რომ ადვოკატის საქმეში ჩართვის დროისათვის, გ. მ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე, რომლშიც ის წარმოადგენდა დაზარალებულს, გამოძიება უკვე დაწყებული იყო. ამ სისხლის სამართლის საქმეზე 2014 წლის 16 სექტემბრის N დადგენილებით გამოძიება შეწყდა, რადგან ქმედება ჩადენილი იყო მცირეწლოვანთა მიერ. ვინაიდან კლიენტს მიაჩნდა, რომ საქმეზე გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა, ადვოკატმა გენინსპექციას მიმართა გამომძიებლის - შ. ს. წინააღმდეგ, მაგრამ კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა, საქმეში ამ პირის მიმართ არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

4.7 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა სამოქალაქო სასამართლოს. პირველ ეტაპზე ადვოკატმა ხ. ხ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, თუმცა 2015 წლის 29 ივნისის განჩინებით საქმეზე N2-218 მას უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რადგან საქმე არ იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი. მხარეთა განმარტებით, ვინაიდან ადვოკატ ხ. ხ.-ს გარდაეცვალა დედა, საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატი - მ. ხ. და უკვე მისი მონაწილეობით 2015 წლის 01 ივნისის სარჩელით მიმართეს ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს. 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N2-158-15 სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ.-ის სარჩელი.

4.8 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გ. მ.-ის ინტერესში შედიოდა ადვოკატს სარჩელისათვის დაერთო საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რათა ადვოკატის ხარჯი დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს. მხარეები თანხმდებიან, რომ გ. მ.-მ საადვოკატო მომსახურების თანხა გადასცა ადვოკატ ხ. ხ.-ს. მართალია, სარჩელში შუამდგომლობის სახით ადვოკატმა დააყენა მოპასუხეებზე სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრება, მაგრამ სარჩელს არ დაურთო ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასევე, მას შემდეგ, რაც ხაშურის რაიონულმა სასამართლომ განსჯადობით არ მიიღო ხ. ხ.-ის მიერ მომზადებული სარჩელი წარმოებაში და

საქმეში მეორე ადვოკატმა მ. ხ. სარჩელით მიმართა განსჯად სასამართლოს, ადვოკატ ხ. ხ.-ს ადვოკატ მ. ხ.-ის არ გადაუცია მისთვის გ. მ. მიერ გადახდილი ჰონორარის ქვითარი და შესაბამისად, სასამართლომ შუამდგომლობა დაუსაბუთებლობის გამო არ დააკმაყოფილა. კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. ხ.-ს ევალებოდა მტკიცებულების სარჩელისათვის დართვის უზრუნველყოფა და მის მიერ დარღვეულია საქმის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება.

4.9 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. ხ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი: ,,ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“

4.10 ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრების, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სკურპულოზურად წარმოებას (მაგ. საგადასახდო დავალებაში გადამხდელის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე, გადახდის დანიშნულებაში: მაგ. კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟი, მართებულად მითითებას).

4.11 კომისიის განმარტებით, კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.

4.12 ადვოკატსა და კლიენტს შორის 2015 წლის 06 აგვისტოს წერილობით გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მე-3 მუხლში ადვოკატის ჰონორარი განსაზღვრულია 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო 200 (ორასი) ლარი განსაზღვრულია ადვოკატის ხარჯების სახით. კლიენტი უთითებს, რომ ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 600 (ექვსასი) ლარი და 100 (ასი) ლარი გადასცა ბაჟის გადასახდელად, მაშინ, როდესაც, მას ბაჟის გადახდა არ ეკუთვნოდა. ადვოკატმა ხ. ხ. 2016 წლის 25 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მან ჰონორარის სახით მოითხოვა 800 (რვაასი) ლარი, ხოლო 200 (ორასი) ლარი ქალაქგარეთ ხარჯებისათვის. ადვოკატმა დააადასტურა, რომ მას კლიენტმა ჰონორარის სახით გადასცა 600 (ექვსასი) ლარი. ასევე ადვოკატი ადასტურებს, რომ კლიენტისაგან მიიღო 100 (ასი) ლარი, მაგრამ ეს თანხა წარმოადგენდა თანხას მისი ხარჯებისათვის და არა თანხას სახელმწიფო ბაჟისათვის, რადგან კლიენტს კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებდა. კომისიის შეფასებით, კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი იმ თანხის მიზნობრიობა, რასაც ის ადვოკატს გადასცემს და ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ ყველა თანხასთან დაკავშირებით.

4.13 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით: ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“. ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით“ ,,მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები“.

4.14 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატ ხ. ხ.-ს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები საქმის წარმოების საპროცესო ეტაპზე წარმოედგინათ მტკიცებულებები. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ დგინდება რა მიზნით მიიღო ადვოკატმა კლიენტისაგან 100 (ასი) ლარი, იყო ეს სახელმწიფო ბაჟის თანხა თუ თანხა ადვოკატის ხარჯებისათვის. ადვოკატს ეკისრება იმის მტკიცების ფაქტის ტვირთი, რომ მან კლიენტს მიაწოდა მისთვის გადაცემული თანხის მიზნობრიობისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც მას არც საპროცესო და არც განხილვის კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია, შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. ხ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის მიერ გადაცემული საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.

4.15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისცილინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

4.16 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-8 და მე-12 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N007/16 ადვოკატ ხ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ხ. ხ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიისწევრი: /ნელი ვარდიაშვილი/